პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

სამშაბათი, 21 სექტემბერი, 1948 წ. № 188 (8232). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მომზადებული შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს პარტიული განათლების ქსელში—მოწინავე (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის, უკრაინისა და ბელორუსიის სსრ დელეგაციები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესიაზე გაემგზავრნენ (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხი კორეის უმაღლესი სახალხო კრების მიმართვაზე კორეიდან ჯარების გაყვანის შესახებ—კორეის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბ-ნ კიმ დუ ბონს (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობა (1-ლი გვერდი).
„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლის 10 წლისთავისათვის (მე-2 და მე-3 გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

მომზადებული შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს პარტიული განათლების ქსელში

ბოლშევიკების პარტია ყოველთვის უდიდეს ყურადღებას აქცევდა კომუნისტების რევოლუციური თეორიით შეიარაღების საქმეს. ლენინი და სტალინი გვასწავლიან, რომ რევოლუციური თეორიის გარეშე შეუძლებელია რევოლუციური მოძრაობა, რომ მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ იმ პარტიას, რომელიც შეიარაღებულია მოწინავე თეორიით.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ატარებენ იმისათვის, რომ ჩვენი კადრები დაეუფლონ მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშემძლე მოძღვრებას. კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონე ამაღლდა ამ უკანასკნელ წლებში. როგორც დამოუკიდებლად, ისე პოლიტსკოლებსა და პოლიტწრეებში კომუნისტები დაუღალავად მუშაობენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლისათვის.

როგორც ცნობილია, ბოლშევიზმის ისტორიისა და თეორიის დაუფლების ძირითადი მეთოდია წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პოლიტსკოლებსა და პოლიტწრეებს მცირე მნიშვნელობა ჰქონდეთ. თუ კომუნისტს დაბალი ცოდნა აქვს და დამოუკიდებლად არ შეუძლია აიმაღლოს თავისი პოლიტიკური განათლების დონე, აგრეთვე თუ გვყავს სათანადოდ მომზადებული პროპაგანდისტი, მაშინ პოლიტწრის შექმნა საჭიროც არის და სასარგებლოც.

1 ოქტომბრიდან საქალაქო, ხოლო 15 ოქტომბრიდან სასოფლო პარტიული ორგანიზაციების პოლიტიკური განათლების ქსელში ახალი სასწავლო წელი იწყება. სასწავლო წლისათვის თავის დროზე და ყოველმხრივ მომზადება ჩვენი პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი საბრძოლო ამოცანაა. პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, პარტიის რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა დროულად უნდა უზრუნველჰყონ ყველა პოლიტსკოლისა და პოლიტწრის დაკომპლექტება, პროპაგანდისტთა კადრების გულდასმით შერჩევა, ნორმალური მეცადინეობისათვის ყველა პირობის შექმნა.

ჩვენი რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონული და საქალაქო კომიტეტები გულმოდგინედ ემზადებიან ახალი სასწავლო წლისათვის პარტიული განათლების ქსელში. დიდი მუშაობა ჩაატარეს ამ მხრივ თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის, ბერიას და მოლოტოვის რაიონულმა და სოხუმის საქალაქო კომიტეტებმა. მათ თითქმის დაამთავრეს პოლიტსკოლებისა და წრეების დაკომპლექტება, პროპაგანდისტთა კადრების შერჩევა და პროპაგანდისტებისათვის ახლა ატარებენ სემინარებს. მაგრამ ყველა რაიონულ და საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში როდი გვაქვს ამ მხრივ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა. ამიტომ საჭიროა ახლავე ენერგიული ზომების მიღება ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, ახალი სასწავლო წლის ყოველმხრივ მომზადებულად შეხვედრისათვის.

პირველად პარტიულ ორგანიზაციებში, იქ, სადაც ეს ჯერ კიდევ არ გაკეთებულა, განსაზღვრული უნდა იქნას, პოლიტიკური სწავლების რომელი ფორმით აიმაღლებს ესა თუ ის კომუნისტი თავისი ცოდნის დონეს. ამისათვის აუცილებელია კომუნისტებთან ინდივიდუალური საუბრების მოწყობა, რათა გათვალისწინებულ იქნას თვითეული მათგანის პოლიტიკური მომზადების დონე, საერთო განათლება და სურვილი. ამის შემდეგ შეიძლება ჩავაბათ კომუნისტები პოლიტიკური განათლების მათთვის შესაფერის ფორმაში. ბოლო უნდა მოეღოს ისეთ შემთხვევებს, როცა კომუნისტებს პოლიტწრეებსა და პოლიტსკოლებში რიცხავენ ხელაღებით, მათი მომზადების გაუთვალისწინებლად.

ჩვენი ცხოვრების ყველა დარგში წარმატებების ბედს კადრები სწყვეტენ, ასევე პარტიული განათლების საქმეში წარმატებების მოპოვება დამოკიდებულია, უპირველეს ყოვლისა, პროპაგანდისტთა კადრებზე. პარტიის რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ პოლიტსკოლებისა და წრეების ხელმძღვანელთა შერჩევას. პროპაგანდისტებად შერჩეულ უნდა იქნან თეორიულად ყველაზე მომზადებული, პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილების მქონე, საქმით დაინტერესებული კომუნისტები. ზოგჯერ ხდება, რომ ამა თუ იმ ამხანაგს პროპაგანდისტად ამტკიცებენ მისი საანკეტო მონაცემების მიხედვით, რაც ყოვლად დაუშვებელია. საჭიროა საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები და ის მუშაკები, ვისაც ეს საქმე აქვს მინდობილი, პირადად ესაუბრონ პროპაგანდისტს, გაიგონ მისი მომზადება, პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილება, და როცა დარწმუნდებიან, რომ იგი შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, შემდეგ დაამტკიცონ ბიუროს სხდომაზე პროპაგანდისტად.

პროპაგანდისტთა კადრების შერჩევა პირველი რიგის და მთავარი საქმეა. მაგრამ იგი საკმაო როდია. პარტიის რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ მათი მომზადებისა და სისტემატური სწავლების საკითხს. აუცილებელია მოვაწყოთ პროპაგანდისტთა სემინარები. ამ საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ პარტკაბინეტებმა.

პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის კარგად მომზადება მოითხოვს აგრეთვე ორგანიზაციულ-ტექნიკური ხასიათის მთელი რიგი საკითხების წინასწარ მოგვარებას. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ სათანადო სამეცადინო ბინების გამოყოფისათვის, პროპაგანდისტებისა და მსმენელების სახელმძღვანელოებითა და დამხმარე ლიტერატურით უზრუნველყოფისათვის, რუკებით, დიაგრამებით, ალბომებით სკოლებისა და წრეების მომარაგებისათვის. იმაზე, თუ პარტიული განათლების ქსელი როგორ იქნება მომზადებული ორგანიზაციულ-ტექნიკური მხრივ, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მეცადინეობის ხარისხი.

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს პარტიული განათლების ქსელში — ასეთია ახლა ჩვენი პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი საბრძოლო ამოცანა.

ჩვენს რესპუბლიკაში

მედლების „დონბასის აღდგენისათვის" გადაცემა

ქუთაისი. (საკ. კორ.). სამთო მანქანათმშენებელი ქარხნის მუშაკთა ერთ ჯგუფს ამას წინათ საზეიმო ვითარებაში გადაეცა საპატიო ჯილდო — მედალი „დონბასის აღდგენისათვის“.

დაჯილდოებულთა შორის არიან ქარხნის დირექტორი მ. ივანოვი, პარტბიუროს მდივანი ნ. გაფრინდაშვილი, სამოდელო საამქროს უფროსი ნ. იაშვილი, სტახანოველი ხარატი ი. ხაბურზანია, მექანიკოსი თ. ტრუსოვი და სხვები—სულ 10 კაცი.

საპატიო ჯილდოს მიღებას ქარხნის მოწინავე ადამიანებმა ახალი საბრძოლო ვალდებულებებით უპასუხეს.

ახალი წყალსადენის მშენებლობა

სტალინირი. (საკ. კორ.). მიმდინარეობს ახალი წყალსადენის მშენებლობა, რომლის დამთავრების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზრდება ქ. სტალინირის მომარაგება წყლით.

დასასრულს უახლოვდება მთავარი რეზერვუარის მშენებლობა. მიმდინარეობს მილების ჩაწყობა.

წყალსადენის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ 2,5-ჯერ გაიზრდება ქ. სტალინირის მომარაგება წყლით.

საკოლმეურნეო აბანოები

სიღნაღი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში მასობრივად დაიწყო საკოლმეურნეო აბანოების მშენებლობა. ახლახან დაამთავრეს აბანოების მშენებლობა სოფელ ძალაურის კოლმეურნეობა „შრომამ“, ტიბაანის კოლმეურნეობა „ხირსის გლეხთა შრომამ“, ქვემო მაჩხაანის მახარაძისა და დაბა წნორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა.

აბანოებს აშენებენ ბოდბის, ნუკრიანის, ჯუგაანის, ბოდბისხევის, ანაგის, ვაქირის და საქობოს კოლმეურნეობებში.

საშუალო სკოლის ახალი შენობა

მახარაძე. (საკ. კორ.). ქ. მახარაძეში დამთავრდა ქალთა მეორე საშუალო სკოლისათვის განკუთვნილი ქვიტკირის ორსართულიანი კაპიტალური შენობის აგება.

შენობას, რომლის აგებაც 500.000 მანეთამდე დაჯდა, ათასზე მეტი კვადრატული მეტრი სასარგებლო ფართობი აქვს და მთლიანად აკმაყოფილებს სკოლის მოთხოვნილებას საკლასო ოთახებსა და კაბინეტებზე.

ამჟამად სწარმოებს სამღებრო სამუშაოები.

სკოლის აგებაში აქტიური შრომითი მონაწილეობა მიიღეს ზვანის კოლმეურნეობის წევრებმა.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა მუშაკების რესპუბლიკური თათბირი

19 სექტემბერს გრძელდებოდა ბიოლოგიურ მეცნიერებათა მუშაკების რესპუბლიკური თათბირი. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. გ. ალავიძის მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა — ნ. რინდინმა (სოხუმის საელექციო სადგურის დირექტორის მოადგილე), გ. ესიტაშვილმა (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მემინდვრეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა პ. შარიამ, პროფესორმა მ. საბაშვილმა (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი), დ. ცხომარიამ (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მემინდვრეობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე), პროფესორმა დ. აგლაძემ, ა. ხელიძემ (საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი), სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. ნატროშვილმა (მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცხვარეობის განყოფილების გამგე), პროფესორმა ნ. ხომიზურაშვილმა (ლ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეხილეობის კათედრის გამგე), პროფესორმა კ. ერისთავმა (თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ნ. კეცხოველმა (სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი), პროფესორმა ლ. დეკაპრელევიჩმა (ლ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სელექციისა და მეთესლეობის კათედრის გამგე).

კამათის დამთავრების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. ალავიძე. შემდეგ თათბირმა მიიღო რეზოლუცია.

დასასრულ თათბირის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მიმართვა ამხანაგ სტალინისადმი.

სოხუმჰესი ამუშავების წინ

სოხუმი. (საკ. კორ.). 17 სექტემბერს შემოწმებულ იქნა სოხუმის ჰიდროელსადგურის სათავის ნაგებობისა და საწნეო გვირაბის მზადყოფნა ელსადგურის პირველი რიგის აამუშავებლად. ფოლადის ფარებმა მდინარე გუმისთას კალაპოტი გადაუკეტეს და წყალი გაუშვეს სადენში. ქვაბულში წყალმა დაგროვება იწყო. რაბების აშვების შემდეგ წყალი გვირაბში შევიდა. გამოცდა ნორმალურად ჩატარდა; ჰიდროტექნიკური ნაგებობანი სრულ წესრიგზე აღმოჩნდა. კომისიამ სოხუმჰესის მშენებელთა შრომას მაღალი შეფასება მისცა.

ამ დღეებში ჩატარდება სადერივაციო გვირაბისა და საგენერატორო სადგურის შემოწმება.

მოსკოველთა მიმართვის პასუხად

ტყიბული. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეები იბრძვიან იმისათვის, რომ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცენ 200 ტონა ჩაის ფოთოლი. კარგად მუშაობს ორპირის ჩაის ფაბრიკა, რომელიც მაღალხარისხოვან ჩაის მზა პროდუქციას უშვებს. აქ ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების შედეგად პროდუქციის თვითღირებულება 5,1 პროცენტით შეამცირეს. ფაბრიკამ სახელმწიფოს მისცა 145.000 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 59,8 პროცენტით. კარგად მუშაობს ის ცვლა, რომელსაც კომუნისტი დ. მინდაძე ხელმძღვანელობს. სამ თვეზე მეტია ეს ცვლა ინარჩუნებს საფაბრიკო გარდამავალ წითელ დროშას. ფაბრიკის მუშები ვერა ლომთაძე, მარო გოგოლაძე, კაპიტონ მერკვილაძე დღიურ ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ფაბრიკის კოლექტივმა სტახანოვური შრომით უპასუხა მოსკოვის მოწინავე კოლექტივის მიმართვას, გადაჭარბებით შეასრულა ჩაის მზა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა და იკისრა წლის ბოლომდე დაზოგოს 200 ათასი მანეთი.

პირობა შესრულებულია

გალი. (საკ. კორ.). სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ლ. ბულისკერიას რგოლს ნაკისრი აქვს ვალდებულება — სამი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 10.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. კრეფა წარმატებით მიმდინარეობს.

თვითონ ბულისკერიას ნაკისრი ჰქონდა 0,5 ჰექტარზე მიეღო 13 ათასი კილოგრამი ფოთოლი. ეს ვალდებულება მან გაანაღდა: ნახევარ ჰექტარ პლანტაციაში უკვე მოჰკრიფა და ფაბრიკას ჩააბარა 13.500 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

ჰიდროელექტროსადგური ხანისწყალზე

მაიაკოვსკი. (სპეც. კორ.). სოფელ მაიაკოვსკში მდინარე ხანისწყალზე მიმდინარეობს 250-ცხენისძალიანი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც უნდა დამთავრდეს 1949 წლის ბოლოსათვის.

ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობამ მიმდინარე წლისათვის გათვალისწინებული დაფინანსება და საშენი მასალა დროულად მიიღო, რამაც ხელი შეუწყო სამუშაოთა შესრულებას გეგმით გათვალისწინებულ ვადებში. მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობენ ახლომახლო სოფლების კოლმეურნეები.

ეს ყველაზე დიდი ჰიდროელექტროსადგურია მთელს რაიონში. იგი მომსახურებას გაუწევს მაიაკოვსკის რაიონულ ცენტრს, მის საწარმო-დაწესებულებებს, სოფლებს მაიაკოვსკის, პირველ და მეორე ობჩას, დიმს, ფერსათს, როკითსა და ამ სოფლების 19 კოლმეურნეობის სასამსახურო შენობებს, სკოლებს და ქოხსამკითხველოებს.

იშენებენ საცხოვრებელ ბინებს

ბათუმი. (საკ. კორ.). სსრ კავშირის ცენტრალური კომუნალური ბანკის მიერ წელს აჭარის ასს რესპუბლიკაში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის ასიგნებულია 1.430 ათასი მანეთი. ამას გარდა, 70 ათასზე მეტი მანეთი გამოყოფილია იმ სახლთმფლობელთა დასახმარებლად, რომელთა სახლებსაც კაპიტალური შეკეთება სჭირდება.

კომუნალური ბანკის აჭარის განყოფილებამ 7 თვეში უკვე გასცა 378.400 მანეთი გრძელვადიანი სესხი.

გრძელვადიანი სესხით საკუთარ საცხოვრებელ ბინებს იგებენ ფანერის ქარხნის მუშა ვ. ქარსელაძე, მთავარნავთმომარაგების ბათუმის განყოფილების სტახანოველი ვ. ვართანოვი, სტალინის სახელობის ქარხნის მუშა კ. სოლოვიოვა, აგრეთვე ხულოს, ქედისა და ქობულეთის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა მუშა-მოსამსახურენი.

კარალეთის ბაღებში

გორი. (საკ. კორ.). სოფელ კარალეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობას 180 ჰექტარი ბაღი აქვს. აქედან 135 ჰექტარი სრული მსხმოიარეა. მას მეხილეობის ორი ბრიგადა უვლის. განსაკუთრებით დიდ მოსავალს მოელიან „კეხურისა“ და „მაფრანის“ ჯიშებისაგან.

კოლმეურნეობა გაცხოველებით ემზადება ხილის კრეფისათვის. ამზადებენ კიბეებს, ყუთებს, დამატებით საწყობებს. ხილის კრეფაზე მემინდვრეობის ბრიგადებიც იმუშავებენ, რათა სწრაფად დააბინაონ ხილის დიდი მოსავალი. კოლმეურნეობა დამამზადებელ ორგანიზაციებს 90 ტონა ხილს ჩააბარებს.

სსრ კავშირის დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესიაზე გაემგზავრა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის III სესიაზე, რომელიც 21 სექტემბერს იხსნება პარიზში, დანიშნა სსრ კავშირის დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: დელეგაციის ხელმძღვანელი ა. ი. ვიშინსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე. დელეგაციის წევრები — ი. ა. მალიკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, სსრ კავშირის წარმომადგენელი უშიშროების საბჭოში, ა. ე. ბოგომოლოვი, სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში, ა. პ. პავლოვი, სსრ კავშირის ელჩი ბელგიაში, ა. ა. არუთინიანი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი.

19 სექტემბერს სსრ კავშირის დელეგაცია პარიზს გაფრინდა.

უკრაინის დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესიაზე

კიევი, 18 სექტემბერი. (საკდესი). უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის III სესიაზე, რომელიც 21 სექტემბერს იხსნება პარიზში, დანიშნა დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: დელეგაციის ხელმძღვანელი — დ. ზ. მანუილსკი, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი. დელეგაციის წევრები — ვ. ა. ტარასენკო, ს. პ. დემჩენკო, ა. ი. გალაგანი, ვ. პ. კოვალენკო.

ბელორუსიის სსრ დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესიაზე

მინსკი, 17 სექტემბერი. (საკდესი). ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის III სესიაზე, რომელიც 21 სექტემბერს იხსნება პარიზში, დანიშნა დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: დელეგაციის ხელმძღვანელი — კ. ვ. კისელიოვი, ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი. დელეგაციის წევრები — ვ. ვ. სკორობოგატი, ლ. ი. კამინსკი, ვ. პ. სმოლიარი, ნ. მ. ხომუსკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხი კორეის უმაღლესი სახალხო კრების მიმართვაზე კორეიდან ჯარების გაყვანის შესახებ

კორეის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბ-ნ კიმ დუ ბონს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო კორეის უმაღლესი სახალხო კრების 10 სექტემბრის მიმართვა, რომელიც შეიცავდა თხოვნას კორეიდან საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ჯარების ერთსა და იმავე დროს და დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მხედველობაში მიიღო კორეის უმაღლესი სახალხო კრების განცხადება, რომ კორეის უმაღლესი სახალხო კრების შექმნა და ამ კრების მიერ ჩრდილოეთი და სამხრეთი კორეის სხვადასხვა პოლიტიკურ მიმართულებათა წარმომადგენლებისაგან კორეის ერთიანი მთავრობის შედგენა, რომელიც ჩრდილოეთი და სამხრეთი კორეის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ნებას გამოხატავს, იმის საწინდარია, რომ კორეიდან უცხოეთის ჯარების გაყვანის მომენტში და გაყვანის შემდეგ მთელ კორეაში დაცულ იქნება სრული წესრიგი და საზოგადოებრივი სიმშვიდე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა კორეის უმაღლესი სახალხო კრების მიმართვა და შესაძლებლად სცნო დააკმაყოფილებინა ამ მიმართვაში გამოთქმული სურვილი და სათანადო განკარგულება მისცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ჩრდილოეთ კორეიდან საბჭოთა ჯარების ევაკუაციის შესახებ ისე, რომ ევაკუაცია დამთავრდეს ამა წლის დეკემბრის დამლევს.

ამასთან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა იმედი გამოთქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობაც დათანხმდება აღნიშნულ ვადაში გაიყვანოს ამერიკის ჯარები სამხრეთ კორეიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

1948 წლის 18 სექტემბერი. (საკდესი).

ბელორუსი ხალხის ზეიმი

მინსკი. (საკდესი). 17 სექტემბერს ბელორუსიის მშრომელებმა ზეიმით აღნიშნეს საყოველთაო სახალხო დღესასწაული — ბელორუსი ხალხის ერთიან საბჭოთა სახელმწიფოში გაერთიანების მეცხრე წლისთავი.

საღამოს მინსკში, ბელორუსიის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში შესდგა საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და საბჭოთა არმიის წარმომადგენლებთან ერთად.

მოხსენებით ბელორუსი ხალხის ერთიან საბჭოთა სახელმწიფოში გაერთიანების მეცხრე წლისთავის შესახებ გამოვიდა ბელორუსიის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ი. კოზლოვი.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ სტალინისადმი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობა

კორეიდან საბჭოთა ჯარების ევაკუაციის შესახებ

კორეის უმაღლესმა სახალხო კრებამ 10 სექტემბერს მიიღო მიმართვა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისადმი და სთხოვა მათ ერთსა და იმავე დროს გაეყვანათ კორეიდან საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ჯარები. ამასთან მან განაცხადა, რომ კორეის უმაღლესი სახალხო კრების შექმნა და ამ კრების მიერ ჩრდილოეთი და სამხრეთი კორეის სხვადასხვა პოლიტიკურ მიმართულებათა წარმომადგენლებისაგან კორეის ერთიანი მთავრობის შედგენა, რომელიც გამოხატავს ჩრდილოეთი და სამხრეთი კორეის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ნებას, იმის საწინდარია, რომ კორეიდან უცხოეთის ჯარების გაყვანის მომენტში და გაყვანის შემდეგ მთელ კორეაში დაცული იქნება სრული წესრიგი და საზოგადოებრივი მყუდროება.

ცნობილია, რომ 1945 წლის შემოდგომაზე საბჭოთა ჯარებმა გაანადგურეს იაპონელთა კვანტუნის არმია, გაათავისუფლეს კორეა იაპონელ დამპყრობელთაგან და, მოკავშირეთა შეთანხმების შესაბამისად, კორეაში დარჩნენ 38-ე პარალელის ჩრდილოეთით, ხოლო ამერიკის ჯარები — კორეის ტერიტორიაზე 38-ე პარალელის სამხრეთით. ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიაზე მყოფმა საბჭოთა ჯარებმა კორეელ მოსახლეობას იმის სრული შესაძლებლობა მიანიჭეს, რომ შეექმნა დემოკრატიული მმართველობის ორგანოები, და განუწყვეტლივ მეგობრულად უწყობდნენ ხელს კორეის ეროვნულ აღორძინებას. ამასთან ჩრდილოეთ კორეაში საბჭოთა ჯარების რაოდენობა თანდათან მცირდებოდა.

1947 წლის სექტემბერში საბჭოთა მთავრობამ წინადადება მისცა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ერთსა და იმავე დროს გაყვანილი ყოფილიყო კორეიდან საბჭოთა და ამერიკის ჯარები, და ამის შემდეგ არაერთხელ დაუდასტურებია, რომ მზად არის დაუყოვნებლივ გამოიყვანოს ჩრდილოეთ კორეიდან საბჭოთა ჯარები, თუ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იმავე დროს გაიყვანს ამერიკის ჯარებს სამხრეთ კორეიდან; მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ამაზე დღემდე არ განუცხადებია თანხმობა.

კორეიდან საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ჯარების ერთსა და იმავე დროს გაყვანის შესახებ კორეის უმაღლესი სახალხო კრების მიერ დასმული საკითხი საბჭოთა მთავრობამ მოახსენა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომელმაც განიხილა კორეის უმაღლესი სახალხო კრების აღნიშნული მიმართვა, დროულად სცნო ჩრდილოეთ კორეიდან საბჭოთა ჯარების ევაკუაცია და იმედი გამოსთქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობაც დათანხმდება გაიყვანოს ამერიკის ჯარები სამხრეთ კორეიდან, როგორც ამის სურვილი გამოსთქვა კორეის უმაღლესმა სახალხო კრებამ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილების შესასრულებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა:

1. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ევაკუირებულ იქნან ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიაზე დარჩენილი საბჭოთა ჯარები.

2. დაევალოს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამინისტროს შეუდგეს ჩრდილოეთ კორეიდან საბჭოთა ჯარების ევაკუაციას არაუგვიანეს ამა წლის ოქტომბრის მეორე ნახევრისა და ევაკუაცია დაამთავროს 1949 წლის 1 იანვრისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოსვლის 10 წლისთავისათვის

მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად ცოდნათა ენციკლოპედია

1 ოქტომბერს ათი წელი სრულდება, რაც გამოვიდა ამხანაგ სტალინის ნაშრომი „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია. მოკლე კურსი". სტალინის ამ წიგნის გამოცემა მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა იყო.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" რევოლუციური მარქსიზმის კლასიკური ნაწარმოებია ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით. მასში განზოგადებულია ლენინ-სტალინის პარტიის დიადი გამოცდილება და მთელი სიბრძნე, ჩვენი საუკუნის სიბრძნე. მასში განზოგადებულია მსოფლიო-ისტორიული გამოცდილება სსრ კავშირის მუშათა კლასის ბრძოლისა სოციალისტური რევოლუციის განხორციელებისა და სოციალიზმის აგებისათვის.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" მეცნიერული კომუნიზმის მთლიანი, დასრულებული ნაწარმოებია. მასში მარქსიზმ-ლენინიზმის თეორია ჩამოყალიბებულია როგორც ერთიანი და მწყობრი მოძღვრება, რომელიც მოიცავს ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, ფილოსოფიის დარგს, მარქსისტული პარტიის სტრატეგიასა და ტაქტიკას, მის იდეოლოგიურ, ორგანიზაციულ, პოლიტიკურ და თეორიულ საფუძვლებს.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში" მარქსისტულ-ლენინური თეორია გადმოცემულია ბოლშევიკური პარტიის ისტორიული მოღვაწეობის გამოცდილების საფუძველზე. ამ ნაწარმოებში თეორია მოცემულია კომუნისტური პარტიისა და მუშათა კლასის მთელ რევოლუციურ მოღვაწეობასთან მჭიდრო, ორგანულ კავშირში, ამ წიგნში თეორია გამოდის, როგორც პროლეტარიატის საბრძოლო იარაღი მისი განთავისუფლებისა და კომუნიზმის აგებისათვის წარმოებულ ბრძოლაში.

მარქსი, ენგელსი, ლენინი და სტალინი მიგვითითებდნენ, რომ მარქსიზმი განუწყვეტლივ ვითარდება კლასობრივი ბრძოლის ახალი გამოცდილების განზოგადების, საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ მოვლენათა და მთელი მეცნიერების მიღწევათა განზოგადების საფუძველზე. „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში" მარქსიზმ-ლენინიზმის ეს მხარე განსაკუთრებული ძალით იჩენს თავს.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) მთელი ისტორია ახალ ისტორიულ პირობებში მუშათა კლასის ბრძოლის ურთულესი საკითხების შემოქმედებითი გადაჭრის განუწყვეტელი პროცესია. ამასთან მხედველობაში უნდა გვქონდეს ის თავისებურება, რომ რუსეთი იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობის თავმოყრის ადგილი იყო, რომ რუსეთის მუშათა კლასი ყველაზე მოწინავე კლასია მსოფლიოში და რომ მას სათავეში უდგას ლენინისა და სტალინის გენიით შექმნილი ბოლშევიკური პარტია.

ამხანაგმა სტალინმა თავის კლასიკურ ნაშრომში გვიჩვენა, რომ ლენინმა განავითარა და ახალ ისტორიულ საფეხურზე აიყვანა მარქსიზმის თეორია, შეუფარდა იგი ახალ ისტორიულ პირობებს, რომ ლენინიზმი მარქსიზმის შემდგომი განვითარებაა. მარქსიზმი გადაიქცა მარქსიზმ-ლენინიზმად. „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში" ცხადყოფილია მარქსიზმ-ლენინიზმის განუწყვეტელი ერთიანობა, მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის მოძღვრების მთლიანობა და თანმიმდევრობა. თვით თავისი არსით ეს მოძღვრება უაღრესად ინტერნაციონალური მოვლენაა, რომელსაც ფესვები მთელ საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობაში აქვს.

სტალინურ „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში" მოცემულია ძირითადი ცოდნა მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში და იგი მთელი მსოფლიოს მშრომელთა აიარაღებს კაპიტალისტური მონობისაგან განთავისუფლებისათვის წარმოებულ მათს ბრძოლაში, მიუთითებს კომუნიზმის გზას.

1.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში" ყოველმხრივ გაშუქებულია ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის მომზადებისა და შექმნის პროცესი.

● ლენინმა და სტალინმა შეიმუშავეს მოძღვრება რევოლუციური მარქსისტული პარტიის შესახებ.

ახალი ტიპის პარტიის იდეოლოგიური საფუძვლების შემუშავებისას ლენინმა და სტალინმა მარქსიზმის ისტორიაში პირველად ფესვებამდე გაიაშიშვლეს ოპორტუნიზმის იდეური სათავეები, რომლებიც „...უწინარეს ყოვლისა მდგომარეობენ ქედის მოხრაში მუშათა მოძრაობის სტიქიურობის წინაშე და მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნების როლის დამცირებაში" („საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი", გვ. 46). ლენინმა და სტალინმა გენიალურად გადასჭრეს საკითხი მუშათა მოძრაობასთან მეცნიერული სოციალიზმის თეორიის შეერთების შესახებ. მათ დაამტკიცეს, რომ მეცნიერული სოციალიზმი, როგორც იდეოლოგია, როგორც სოციალისტური შეგნება, შეტანილ უნდა იქნას მუშათა კლასში, რომ სწორედ მარქსისტული პარტია წარმოადგენს მუშათა მოძრაობის შეერთებას სოციალიზმთან. მუშათა მოძრაობის ისტორიაში პირველად იქნა აყვანილი უდიდეს სიმაღლეზე თეორიის, შეგნების მნიშვნელობა, პარტიის, როგორც მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელი და დამრაზმავი ძალის, მნიშვნელობა.

ეს დებულებანი, დღესაც მიმართულებას აძლევენ ყველა კომუნისტურ პარტიას სოციალიზმისათვის მუშათა კლასის ბრძოლის ხელმძღვანელობაში, თანამედროვე ოპორტუნიზმთან და რევიზიონიზმთან ბრძოლაში.

ისტორიული მნიშვნელობა აქვს ლენინისა და სტალინის მიერ ახალი ტიპის პარტიის ორგანიზაციული საფუძვლების შემუშავებას. თუ მარქსმა და ენგელსმა მოგვცეს მუშათა კლასის რევოლუციური პარტიის როლისა და მისი ორგანიზაციული პრინციპების ზოგადი იდეა, ლენინმა და სტალინმა შექმნეს ყოვლისმომცველი მოძღვრება რევოლუციური პროლეტარული პარტიის შესახებ ახალ ისტორიულ პირობებში, მოძღვრება მისი იდეოლოგიური საფუძვლებისა და ორგანიზაციული პრინციპების, მასებთან მისი კავშირის, მისი ხელმძღვანელი როლის შესახებ.

ამხანაგმა სტალინმა „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში" მთელი სისრულით გვიჩვენა ის, რაც ლენინმა მოგვცა მის განთქმულ ნაშრომებში „რა ვაკეთოთ?" და „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან", განაზოგადა მთელი მრავალმხრივი ორგანიზაციული გამოცდილება ბოლშევიკური პარტიისა მთელი მისი ისტორიის მანძილზე. ყოველივე ამის შედეგად „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" წარმოადგენს ახალი ტიპის პარტიის, სოციალური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის პარტიის შესახებ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების ჭეშმარიტად გენიალურ ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

მარქსისტული პარტია მუშათა კლასის ნაწილია, მისი ავანგარდია. „პარტია უწინარეს ყოვლისა იმით განსხვავდება მუშათა კლასის სხვა რაზმებისაგან, რომ იგი წარმოადგენს არა უბრალო რაზმს, არამედ მუშათა კლასის **მოწინავე** რაზმს, **შეგნებულ** რაზმს, **მარქსისტულ** რაზმს, რომელიც შეიარაღებულია საზოგადოებრივი ცხოვრების ცოდნით, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონების ცოდნით, კლასობრივი ბრძოლის კანონების ცოდნით და რომელსაც, ამის გამო, შესწევს უნარი გაუძღვეს მუშათა კლასს, უხელმძღვანელოს მის ბრძოლას" (გვ. 56). ამავე დროს პარტია მუშათა კლასის არა მარტო მოწინავე, შეგნებული რაზმია, „არამედ, ამასთან ერთად,—მუშათა კლასის **ორგანიზებული** რაზმიც, რომელსაც აქვს თავისი დისციპლინა, მისი წევრებისათვის სავალდებულო" (გვ. 57). პარტია შენდება დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებზე. პარტია ძლიერია თავისი რიგების ერთიანობით. პარტია მუშათა კლასის ყველა სხვა ორგანიზაციებს შორის ორგანიზაციის უმაღლესი ფორმაა, რომელიც მოწოდებულია უხელმძღვანელოს მათ. კომუნისტური პარტია მუშათა მილიონიან მასებთან მუშათა კლასის მოწინავე რაზმის კავშირის განხორციელებაა.

ბოლშევიკების პარტია თავისი ისტორიის მთელ მანძილზე ამ ლენინურ-სტალინური პრინციპებით ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს და ამით უზრუნველჰყოფდა თავისი რიგების მაღალ ბრძოლისუნარიანობას, მონოლითურობას.

თანამედროვე პირობებში, როცა კომუნისტური პარტიების როლი კიდევ უფრო გაიზარდა, როცა პარტიული მშენებლობის საკითხებმა ცენტრალური ადგილი დაიკავეს, განსაკუთრებით სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, იმასთან დაკავშირებით, რომ ამ პარტიებში მასობრივად შედიან მშრომელები და კომპარტიებს მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული პარტიები შეუერთდნენ, — ლენინ-სტალინის მოძღვრებას პარტიის ორგანიზაციული პრინციპების შესახებ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

მარქსისტული პარტიების მოღვაწეები „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში" ნახავენ იმის კლასიკურ მაგალითებს, თუ როგორ ებრძოდნენ ბოლშევიკები მასობრივ უპარტიო ორგანიზაციაში მარქსისტული პარტიის გათქვეფის ცდებს. 1907 წელს რუსეთის მენშევიკებმა წინადადება წამოაყენეს ასეთი „უპარტიო პარტიის" შესაქმნელად მოწვეული ყოფილიყო ეგრეთ წოდებული „მუშათა ყრილობა", რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ სოციალ-დემოკრატებიც, ესერებიც, ანარქისტებიც. „ლენინმა გამოამჟღავნა მენშევიკთა ეს უაღრესად მავნე ცდა—მოეხდინათ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლიკვიდაცია და გაეთქვიფათ მუშათა კლასის მოწინავე რაზმი წვრილბურჟუაზიულ მასაში" (გვ. 109). იუგოსლავიის ყალბ-მარქსისტებმა, რომლებიც კომუნისტური პარტიების საინფორმაციო ბიურომ ამხილა და დაჰგმო, ორმოცი წლის შემდეგ სცადეს გაემეორებინათ რუსეთის მენშევიკების მარცხით დამთავრებული წამოწყება.

2.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" მუშათა კლასის და მისი პარტიის რევოლუციური ბრძოლის გამოცდილების ყოველმხრივ განზოგადებას იძლევა. ამ ნაშრომში განხილული ისტორიული ფაქტები გვევლინებიან როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის ძალისა და ძლიერების უცილობელი დადასტურება.

ამხანაგი სტალინი ანალიზს უკეთებს რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის მომზადებისა და მიმდინარეობის ისტორიას, ახასიათებს მარქსისა და ენგელსის შეხედულებას ბურჟუაზიული რევოლუციის ამოცანებზე, აშუქებს რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის განხორციელების ახალ ისტორიულ პირობებს და ცხადჰყოფს იმას, თუ ლენინი ამ ახალ ისტორიულ პირობებში როგორ ამდიდრებს და შემდგომ ავითარებს მარქსიზმს.

მსოფლიოს ყველა ქვეყნის კომუნისტები „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" იმ თავების შესწავლისას, რომლებიც 1905-1907 წლების რევოლუციისადმია მიძღვნილი, იპოვნიან თავისთვის ფასდაუდებელ თეორიულ მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა პარტიის პოლიტიკური აღზრდა, როგორ უნდა სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხების შემუშავება.

1905-1907 წლების რევოლუციის გამოცდილებით ლენინი და სტალინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ბურჟუაზია აღარ არის რევოლუციური ძალა და, როგორც წესი, უთანხმდება მემამულეებსა და საზოგადოების სხვა რეაქციულ ფენებს და რომ ამიერიდან ყველა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატს შეუძლია იყოს და კიდევაც უნდა იყოს ჰეგემონი, მთელი რევოლუციურ-დემოკრატიული ძალების ბელადი.

ეს ახალი დებულება ყოველმხრივ დაადასტურა რუსეთში რევოლუციური ბრძოლების გამოცდილებამ, ყველა ქვეყანაში რევოლუციური მოძრაობის გამოცდილებამ, იგი მთლიანად გამართლდა ფაშიზმის წინააღმდეგ ევროპის ხალხთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ომის წლებში, იგი ყოველდღე ახალ დადასტურებას პოულობს ყველა ქვეყანაში, რომლებიც თავიანთი ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან.

უდიდესი რევოლუციური მნიშვნელობა აქვს ლენინურ-სტალინურ მოძღვრებას პროლეტარიატის ჰეგემონიის შესახებ, იმის შესახებ, რომ ამიერიდან მუშათა კლასს შეუძლია განახორციელოს თავისი ისტორიული მისია მხოლოდ იმ პირობით, თუ გამოვა როგორც გლეხობის და ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელთა ხელმძღვანელი.

მარქსსა და ენგელსს ცალკეული მითითებანი ჰქონდათ პროლეტარიატის ჰეგემონიის შესახებ, მაგრამ ეს გენიალური აზრები შემდეგ აღარ განვითარებულა, ხოლო II ინტერნაციონალის თეორეტიკოსებმა ყველა ღონისძიება იხმარეს, რომ დაესამარებინათ ისინი. „ლენინს,—სწერს ამხანაგი სტალინი,—წილად ხვდა ამოცანა—სინათლეზე გამოეტანა მარქსის დავიწყებული დებულებანი და ისინი მთლიანად აღედგინა. მაგრამ მარქსის ამ დებულებათა აღდგენისას ლენინი არ დაკმაყოფილებულა,—და ვერც დაკმაყოფილდებოდა,—მათი უბრალო განმეორებით, არამედ შემდგომ განავითარა ისინი და გადაამუშავა სოციალისტური რევოლუციის მწყობრ თეორიად, შეიტანა საქმეში ახალი მომენტი, როგორც სოციალისტური რევოლუციის **სავალდებულო** მომენტი, — პროლეტარიატისა და ქალაქისა და სოფლის ნახევრადპროლეტარული ელემენტების **კავშირი**, როგორც პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების **პირობა**" (გვ. 90).

უდიდესი მნიშვნელობა აქვს „მოკლე კურსში" განვითარებულ მარქსიზმის მოძღვრების ახალ დებულებას ბურჟუაზიული და სოციალისტური რევოლუციის ურთიერთობის შესახებ, ლენინისა და სტალინის თეორიას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის შესახებ.

„ეს იყო ახალი თეორია **სოციალისტური** რევოლუციისა, რომელსაც განახორციელებს არა იზოლირებული პროლეტარიატი **მთელი** ბურჟუაზიის წინააღმდეგ, არამედ პროლეტარიატი — ჰეგემონი, რომელსაც ჰყავს მოკავშირეები მოსახლეობის ნახევრადპროლეტარული ელემენტების სახით, მილიონობით „მშრომელი და ექსპლუატირებული მასების" სახით" (გვ. 91). ამ თეორიით ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონია პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის პირობით გადაიზრდება პროლეტარიატის ჰეგემონიად სოციალისტურ რევოლუციაში პროლეტარიატისა და დანარჩენი მშრომელი მასების კავშირის პირობით, ამასთან პროლეტარიატის სოციალისტური დიქტატურისათვის ნიადაგი უნდა მოემზადებინა პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიულ დიქტატურას. ამრიგად, ლენინისა და სტალინის მოძღვრებით, პროლეტარიატი რევოლუციურ ბრძოლაში აბამს ყველა მშრომელს, და კომუნისტურმა პარტიამ ისეთი ლოზუნგები უნდა წამოაყენოს, რომლებსაც შეეძლებათ გააძლიერონ მასების რევოლუციური ინიციატივა, ხოლო როცა საქმე აჯანყებამდე მიდის, იგი საყოველთაო-სახალხო გახადონ.

სოციალისტური რევოლუციის თეორიას რომ ავითარებდნენ, ლენინმა და სტალინმა კაპიტალიზმის იმპერიალისტურ სტადიაში კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობის უღრმესი ანალიზის საფუძველზე ცხადჰყვეს, რომ სწორედ ამ უთანაბრობის შედეგად შესაძლებელი ხდება იმპერიალიზმის ფრონტის გარღვევა მის ყველაზე სუსტ რგოლში. აქედან ლენინმა და სტალინმა ის დასკვნა გამოიყვანეს, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში შეუძლებელი გახდა სოციალიზმის ერთდროული გამარჯვება ყველა ქვეყანაში და, პირიქით, შესაძლებელი გახდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად რამდენიმე ქვეყანაში ან ერთ, ცალკე აღებულ, ქვეყანაში. ეს იყო სოციალისტური რევოლუციის ახალი, დასრულებული თეორია, რომელიც ცალკე ქვეყნების პროლეტარებს რევოლუციურ პერსპექტივას აძლევდა, აძლიერებდა მათს ინიციატივას თავისი, ნაციონალური, ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება სსრ კავშირში 1917 წლის ოქტომბერში, მუშათა კლასის გამარჯვება სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში გვიჩვენებს, რა გენიალურად ჭვრეტდნენ მშრომელთა დიდი ბელადები ისტორიის შემდგომ მსვლელობას.

იმ პარტიებმა, რომლებიც ამ დიადი იდეებით ხელმძღვანელობენ, ისტორიული წარმატებანი მოიპოვეს. იქ კი, სადაც მუშათა მოძრაობის ესა თუ ის მოღვაწეები ლენინიზმს გადაუხვევდნენ ხოლმე, ისინი სერიოზულ ზიანს აყენებდნენ სოციალიზმის საქმეს. მაგალითად, პოლონეთის მუშათა პარტიის ერთ-ერთმა მოღვაწემ, ამხ. გომულკამ, დაივიწყა ლენინიზმის ანბანი, რომელიც ამბობს, რომ გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირი ნიშნავს პროლეტარიატის აუცილებელ ჰეგემონიას, მის მიერ გლეხობის ხელმძღვანელობას სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში, და გლეხობას განიხილავდა როგორც მთავარ ძალას, სოციალიზმის მშენებლობის ხელმძღვანელს. ეს მემარჯვენე, წვრილბურჟუაზიული გადახრაა. პოლონეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მხრივ მხოლოდ მწვავე პრინციპული კრიტიკის გავლენით გომულკა დაადგა თავისი მცდარი, ანტიმარქსისტული პოზიციების გადასინჯვის გზას.

ტიტოს ფრაქცია, რომელიც უარჰყოფს მუშათა კლასის ხელმძღვანელ როლს და ამტკიცებს, რომ გლეხობა იუგოსლავიის სახელმწიფოს ყველაზე მტკიცე საფუძველია, ასცდა მარქსისტულ-ლენინურ გზას და ნაროდნიკული კულაკური პარტიის გზას დაადგა.

3.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს", როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის მთლიან და დასრულებულ ნაწარმოებს, მარქსიზმის შემსწავლელთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ მხრივაც, რომ მასში მოცემულია მარქსისტული პარტიის თეორიული საფუძვლების — მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის შემდგომი განვითარება.

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია მეცნიერული მატერიალისტური მსოფლმხედველობაა. უმისოდ შეუძლებელია ცხოვრების მოვლენათა როგორც შეცნობა და ახსნა, ისე მით უმეტეს მათი შეცვლა.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში", რომელიც მთლიანად გამსჭვალულია მარქსისტული დიალექტიკის პრინციპებით, გარდა ამისა, არის განსაკუთრებული კარი „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ", რომელიც მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიური აზრის ნამდვილ მწვერვალს წარმოადგენს.

მარქსის, ენგელსისა და ლენინის კლასიკური მაგალითების მიხედვით ამხანაგმა სტალინმა ამ კარში განაზოგადა საზოგადოებრივი განვითარებისა და მეცნიერების განვითარების მონაცემები და ამის საფუძველზე წინ წასწია მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის უმნიშვნელოვანეს დებულებათა შემუშავება.

ამხანაგმა სტალინმა არა მარტო ჩამოაყალიბა და განავითარა დიალექტიკური მეთოდის ძირითადი ნიშნები, არამედ საზოგადოებრივი განვითარების მთელი ისტორიის, განსაკუთრებით მუშათა მოძრაობისა და ბოლშევიკური პარტიის მოღვაწეობის ისტორიის ანალიზით გვიჩვენა, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ დიალექტიკა ისტორიული განვითარების გაგებისათვის, დიალექტიკის საფუძველზე რა დასკვნები უნდა გამოვიყვანოთ საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კლასთა ბრძოლის მეცნიერული გაგებისათვის.

ამხანაგ სტალინის დებულებანი, რომლებიც საზოგადოებრივი განვითარების კანონებს გვიხსნიან, საპროგრამო მითითებებს წარმოადგენენ კომუნისტური პარტიების რევოლუციური მოღვაწეობისათვის თანამედროვე პირობებში.

„თუ განვითარება სწარმოებს შინაგან წინააღმდეგობათა გახსნის წესით, ამ წინააღმდეგობათა ბაზაზე დაპირისპირებულ ძალთა შეჯახების წესით, რათა დაძლეულ იქნას ეს წინააღმდეგობანი, მაშინ ცხადია, რომ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა სავსებით ბუნებრივ და გარდუვალ მოვლენას წარმოადგენს.

მაშასადამე, კი არ უნდა ჩქმალავდე კაპიტალისტური წესების წინააღმდეგობებს, არამედ უნდა ააშკარავებდე და ამოხსნიდე მათ, კი არ უნდა აქრობდე კლასობრივ ბრძოლას, არამედ ბოლომდე მიჰყავდეს იგი" (გვ. 133).

ეს სტალინური დებულებანი ამჟამად გაისმის როგორც ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიების საბრძოლო პროგრამა. მართლაც, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში დღის წესრიგში დგას უმნიშვნელოვანესი საკითხი — სოფლის მეურნეობის გარდაქმნის დაწყება სოციალისტურ საფუძვლებზე. ცხოვრება გვიჩვენებს, რა მავნე შედეგებამდე მივყავართ სოფლად კლასობრივ წინააღმდეგობათა არსებობის მიჩქმალვის ცდებს.

ამ სტალინური დებულებებით კიდევ უფრო მეტად უნდა იხელმძღვანელონ ყოველდღე კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტურმა პარტიებმა, დარაზმონ მუშათა კლასი და ყველა მშრომელი ბურჟუაზიისა და მისი აგენტების — ლეიბორისტების, საფრანგეთის, იტალიისა და ყველა სხვა მემარჯვენე სოციალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც უარჰყოფენ კლასობრივ ბრძოლას, ქადაგებენ კლასობრივ ინტერესთა ჰარმონიას.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" კომუნისტურ პარტიებს აიარაღებს თანამედროვე იდეალისტური ფილოსოფიის წინააღმდეგ ბრძოლაში, იმპერიალიზმის ფილოსოფიურ დამცველთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც ცდილობენ იდეურად განაიარაღონ მუშათა კლასი.

ამჟამად, როცა ამერიკელმა იმპერიალისტებმა, რომლებიც ახალ ომს ამზადებენ, გააფთრებული ლაშქრობა დაიწყეს კომუნიზმის წინააღმდეგ, კომუნისტური მსოფლმხედველობის წინააღმდეგ, და ამ საზიზღარი საქმისათვის დარაზმეს ფილოსოფოსთა და ხუცესთა, მწერალთა და სისხლის სამართლის დამნაშავეთა მთელი არმიები, იმპერიალისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა იგი მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის პოზიციებიდან სწარმოებს.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" კომუნისტებს უნერგავს რწმენას, რომ მათ განუზომელი სულიერი უპირატესობა აქვთ ბურჟუაზიული იდეოლოგების მთელი მასის წინაშე. სტალინური დებულებანი იმის შესახებ, რომ „...მეცნიერება საზოგადოების ისტორიის შესახებ, მიუხედავად საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა მთელი სირთულისა, შეიძლება გახდეს ისეთსავე ზუსტ მეცნიერებად, როგორიც არის, ვთქვათ, ბიოლოგია, მეცნიერებად, რომელსაც შეუძლია ისარგებლოს საზოგადოების განვითარების კანონებით პრაქტიკული გამოყენებისათვის" (გვ. 138), აჩვენებენ ყველას, ვისაც სერიოზული განზრახვა აქვს ჩასწვდეს საზოგადოებრივი განვითარების კანონებს, რომ შეუძლია დაეუფლოს მათ, და მაშინ მას წინ ვერ დაუდგება ვერავითარი ბურჟუაზიული ფსევდომეცნიერული თეორიები.

ამხანაგი სტალინი განსაკუთრებული ძალით ცხადჰყოფს მოწინავე იდეების მამობილიზებელ, მაორგანიზებელ და გარდამქმნელ როლს საზოგადოების განვითარებაში. იგი გვიჩვენებს, თუ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების საფუძველზე აღმოცენებული მოწინავე იდეები როგორ აადვილებენ საზოგადოების წინსვლას, ხდებიან ხალხის მასების კუთვნილებად, რაზმავენ მათ საზოგადოების დრომოჭმული ძალების წინააღმდეგ.

აი რატომ არის, რომ ბოლშევიკური პარტია ასე მტკიცედ იბრძვის იმისათვის, რომ მოწინავე იდეები ვრცელდებოდნენ ხალხის უფართოეს ფენებში, ხდებოდნენ მის კუთვნილებად, ვინაიდან თეორია, როდესაც იგი მილიონებს ეუფლება, დიდ მატერიალურ ძალად იქცევა. აი რატომ არის საჭირო, რომ ყველა მოძმე პარტია ისეთივე სიმტკიცითა და თანმიმდევრობით, როგორც საკავშირო კ. პ. (ბ), განუწყვეტლივ ქადაგებდეს მუშათა კლასში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს.

ამხანაგმა სტალინმა, რომელიც განაგრძობს მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლაში სოციალისტური შეგნების გადამწყვეტი როლის შესახებ ლენინური იდეის განვითარებას, სოციალისტური საზოგადოების პირობებში ახალი ძალით დააყენა საკითხი სოციალისტური შეგნების როლის შესახებ, საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებზე მისი ზეგავლენის შესახებ.

ამხანაგმა სტალინმა ისტორიული მატერიალიზმის თეორიაში იმდენი ახალი რამ შეიტანა, რომ ამ თეორიის შეთვისება ახლა შეუძლებელია სტალინის ნაშრომების შეუსწავლელად.

ამხანაგმა სტალინმა ისტორიული მატერიალიზმის თეორიაში ყველა ხაზით შეიტანა სიახლე. ამხანაგმა სტალინმა განავითარა მარქსიზმის მოძღვრება საზოგადოების ეკონომიური ბაზისისა და საზოგადოებრივ ზედნაშენებთან ამ უკანასკნელის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. მან წინ წასწია კლასებისა და კლასთა ბრძოლის მარქსისტული თეორია და ამ თეორიის დამუშავება მიიყვანა სოციალისტური საზოგადოების აშენებისა და კლასების ლიკვიდაციის გზების დასაბუთებამდე. ამხანაგმა სტალინმა ისტორიული მატერიალიზმის თეორიაში დიდი განძი შეიტანა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აგების შესაძლებლობისა და საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს როლის შესახებ ლენინური თეორიის შემდგომი დამუშავებით, გენიალურად დაასაბუთა დასკვნა ერთ ქვეყანაში კომუნიზმის აგების შესაძლებლობის შესახებ.

ამხანაგმა სტალინმა სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილების განზოგადებით აღმოაჩინა და ჩამოაყალიბა ახალი საზოგადოებრივი წყობილების, სოციალიზმის ძირითადი კანონები.

4.

უდიდესი თეორიული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" იმ ნაწილებს, რომლებიც აშუქებენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიმდინარეობასა და გამარჯვებას და სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების აგების ისტორიას. თვითეული ნაბიჯი რევოლუციასა და სოციალიზმის მშენებლობაში ახალი ისტორიული შემოქმედება იყო, რომლის მსგავსიც არ ყოფილა მთელ მსოფლიო ისტორიაში. ეს უმაგალითო შემოქმედება დაგვირგვინდა სოციალისტური საზოგადოების აგებით, რომელმაც უკვე ისეთ სიმწიფეს მიაღწია, რომ დაიწყო სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის განხორციელება.

ამ გიგანტური გამოცდილების მეცნიერული, თეორიული განზოგადება, რამაც ოსტატური განხორციელება ჰპოვა სტალინის წიგნში, მარქსიზმ-ლენინიზმის განვითარების ახალ, უმაღლეს საფეხურს შეადგენს.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მსოფლიო ისტორიის ახალი ხანა გადაგვიშალა. ლენინმა და სტალინმა ყოველმხრივ მოამზადეს პარტია ამ დიადი ისტორიული მოვლენის განსახორციელებლად.

ლენინმა და სტალინმა იდეურად, თეორიულად შეაიარაღეს პარტია თავიანთი დიადი ნაშრომებით მისი სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ, იმპერიალიზმის შესახებ, სოციალისტური რევოლუციის შესახებ, პროლეტარიატის დიქტატურის პოლიტიკური ფორმის — საბჭოების შესახებ.

ლენინმა და სტალინმა ბოლომდე გამოააშკარავეს II ინტერნაციონალის ოპორტუნისტი ბელადები, ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიები (ესერები, მენშევიკები) რუსეთში.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება შემდეგმა მთავარმა მიზეზებმა განსაზღვრეს: რევოლუციის სათავეში იდგა რუსეთის მუშათა კლასი, რომელიც ბურჟუაზიასთან ბრძოლებში იყო გამოწრთობილი და მშვიდობის, მიწის, თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში ხალხის ბელადის ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული. მუშათა კლასმა შესძლო მტკიცე კავშირი დაემყარებინა მილიონობით ჩაგრულ გლეხებთან, ხოლო ასეთი კავშირი რომ არ ყოფილიყო, ოქტომბრის რევოლუცია ვერ გაიმარჯვებდა. მუშათა კლასს სათავეში ედგა პოლიტიკურ ბრძოლებში გამოცდილი ისეთი პარტია, როგორიც ლენინ-სტალინის პარტიაა. „...მხოლოდ ასეთ პარტიას შეეძლო ასე უნარიანად შეეერთებინა ერთ საერთო რევოლუციურ ნაკადად ისეთი სხვადასხვაგვარი რევოლუციური მოძრაობანი, როგორიცაა საერთო-დემოკრატიული მოძრაობა ზავისათვის, გლეხურ-დემოკრატიული მოძრაობა მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდებისათვის, ჩაგრული ხალხების ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ნაციონალური თანასწორუფლებიანობისათვის და პროლეტარიატის სოციალისტური მოძრაობა ბურჟუაზიის დამხობისათვის, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის" (გვ. 259).

ბოლშევიზმის სტრატეგიისა და ტაქტიკის გაკვეთილებიდან ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიები იძენენ გამოცდილებას, რომელიც ცხადჰყოფს, თუ როგორ უნდა სწარმოებდეს რევოლუციური მუშაობა მასებში ხალხის მთელი ძალების ერთ ნაკადად შეერთებისათვის და ბურჟუაზიის საბოლოო დამარცხებისათვის.

ლენინის გარდაცვალების შემდეგ ამხანაგ სტალინს ხვდა წილად ამოცანა წინ წაეღო ლენინიზმის დიადი დროშა, ბოლომდე მიეყვანა სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის საქმე.

ეს ჭეშმარიტად გმირული ეპოქა იყო. ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის დაძაბული ბრძოლის მსვლელობაში პარტიას მოუხდა კლასობრივი მტრისა და მისი აგენტურის გააფთრებული წინააღმდეგობის დაძლევა. პარტიამ სასტიკად დაამარცხა ლენინიზმის მრავალრიცხოვანი მტრები: ტროცკისტები, ზინოვიეველები, ბუხარინელები, ნაციონალისტები და მრავალი სხვა. ამ ბრძოლაში ამხანაგმა სტალინმა დაიცვა ლენინიზმი და ყოველმხრივ განავითარა იგი.

ამხანაგ სტალინის მეთაურობით ბოლშევიკური პარტიის ბრძოლა მუშათა კლასის საქმის მოღალატეთა წინააღმდეგ ნიმუშს წარმოადგენს ყველა კომუნისტური პარტიისათვის. ეს ბრძოლა გვასწავლის, რომ პროლეტარიატის პარტიას მხოლოდ იმ პირობით შეუძლია განახორციელოს თავისი ამოცანები, თუ გამოააშკარავებს ოპორტუნისტულ პარტიებს და განაცალკევებს მათ ხალხის მასებისაგან. იგი იძლევა უაღრესად ბასრ თეორიულ იარაღს თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების აგების ისტორია მაგალითია ყველა იმ ქვეყნის პარტიებისათვის, რომლებიც უკვე ჰქმნიან საფუძვლებს სოციალიზმის გზაზე გადასავლელად, და ნიმუში იქნება ყველა იმ ქვეყნის პარტიებისათვის, რომლებიც ამ გზას მომავალში დაადგებიან.

რა თქმა უნდა, სხვადასხვა ქვეყნების ხალხებს, მუშათა კლასს თავიანთი ისტორიული, ნაციონალური თავისე-

(დასასრული მე-3 გვერდზე)

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“
გამოსვლის 10 წლისთავისათვის

ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲖᲛ-ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓ ᲪᲝᲓᲜᲐᲗᲐ ᲔᲜᲪᲘᲙᲚᲝᲞᲔᲓᲘᲐ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

ბურებანი აქვთ. ყოველივე ამან, როგორც აღნიშნავდა ლენინი, არ შეიძლება არ მოგვცეს სოციალიზმის განხორციელების ფორმათა მრავალფეროვნება. მაგრამ ისტორიული განვითარების კანონები, რომელთა გამო კაპიტალიზმი სოციალიზმმა უნდა შესცვალოს, ძირითადად საერთოა ყველა ქვეყნისათვის. ამიტომ სოციალიზმის აგების ფორმათა მთელი მრავალფეროვნება არ აბათილებს იმ უდავო ფაქტს, რომ სოციალიზმისაკენ მიმავალი გენერალური გზა, რომელიც ძირითადად საერთოა ყველა ქვეყნისათვის, საბჭოთა კავშირმა გაჰკაფა.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ თეორიულად განაზოგადებს პრაქტიკულ რევოლუციურ მუშაობას სოციალიზმის მშენებლობის დარგში. ამიტომ სტალინის დიადი ნაშრომი პირდაპირ ნიადაგსახმარი წიგნი გახდა მილიონობით ადამიანებისათვის მთელ მსოფლიოში.

• • •

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლით სწარმოებს მილიონობით საბჭოთა ადამიანების, პარტიული და უპარტიო ბოლშევიკების აღზრდა. ამ წიგნმა შეასრულა, ასრულებს და მომავალშიც შეასრულებს თვალსაჩინო როლს ჩვენი პარტიის იდეოლოგიური დონის ამაღლების საქმეში.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ თავდება 1937 წლის ამბების გაშუქებით. მაგრამ ვინაიდან ეს წიგნი უბრალოდ კი არ ასწერს ამბებს, არამედ თეორიულად, მეცნიერულად ხსნის მათ, ცხადჰყოფს საზოგადოებრივ მოვლენათა კანონზომიერებას, იძლევა უღრმესი მეცნიერული განჭვრეტის ნიმუშებს, თეორიულად ანათლებს ადამიანებს, ამის მეოხებით მისი შემსწავლელნი დამოუკიდებლად, მეცნიერული პოზიციებიდან იწყებენ ახალი საზოგადოებრივი მოვლენების ახსნასა და გაგებას.

„მოკლე კურსის“ უკანასკნელ თავში ამხანაგმა სტალინმა მოგვცა საერთაშორისო ვითარების ღრმა ანალიზი, ამხილა სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის გამჩაღებელთა ხრიკები, პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე ცხადჰყო უაღრესად სერიოზული საშიშროება, რაც დაკავშირებული იყო იმპერიალისტი აგრესორების მიერ დაწყებულ ახალ ომთან.

მთელი სამამულო ომის განმავლობაში, ყველაზე მძიმე მომენტებში, საბჭოთა ხალხი მუდამ შეიარაღებული იყო მისი, როგორც ისტორიაში ყველაზე სამართლიანი ომის, მიზნებისა და აზრის, მისი ხასიათის ნათელი გაგებით და ეს ჩვენს ხალხს უძლეველ მორალურ ძალას ანიჭებდა.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ ადამიანებს საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით ზრდის. იგი ასწავლის ნაციონალური საკითხის სწორ ლენინურ-სტალინურ გაგებას, ზრდის ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, გამანადგურებელ ლახვარს სცემს ნაციონალიზმსა და შოვინიზმს. იგი მთელი ძალით გვიჩვენებს, რომ ნაციონალიზმისაკენ გადახრა ბურჟუაზიის ნაციონალისტურ პოლიტიკასთან მუშათა კლასის ინტერნაციონალისტური პოლიტიკის შეგუებაა.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლის შემდეგ ამხანაგი სტალინი შემდგომ ავითარებს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას. მის მოხსენებაში პარტიის XVIII ყრილობაზე, დიდი სამამულო ომის დროს და ომისშემდგომ პერიოდში შექმნილ ნაშრომებში მოცემულია ახალი მსოფლიო-ისტორიული მოვლენებისა და ამბების განზოგადება. ეს ნაშრომები „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ პირდაპირი გაგრძელებაა და მარქსიზმ-ლენინიზმის საუნჯის ოქროს ფონდს შეადგენს.

საბჭოთა ხალხი ომის დამთავრების შემდეგ ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ახალი ძალით ახორციელებს სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებას და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლას.

ამ გზაზე უდიდესი წარმატებებია მოპოვებული. პირველი ომისშემდგომი ხუთწლედი გადაჭარბებით სრულდება, იგი ვადამდე იქნება შესრულებული, და ეს ჩვენს საზოგადოებას წინ წასწევს კომუნიზმის გზით.

ახლა, როცა მასების კომუნისტურ შეგნებაზე უფრო და უფრო მეტად დამოკიდებულია კომუნიზმის მშენებლობის ტემპები, პარტიის იდეოლოგიურ მუშაობას, ადამიანთა კომუნისტური აღზრდის ამოცანებს, იდეოლოგიურ დამახინჯებებთან ბრძოლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ამხანაგი სტალინი მიგვითითებენ, რომ თვითეული კომუნისტი დაუღალავად უნდა მუშაობდეს თავისი შეგნების ასამაღლებლად, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შესათვისებლად. და პარტიის თეორიული დონის ამაღლების, პარტიული და საბჭოთა კადრების, ჩვენი ინტელიგენციის მარქსიზმ-ლენინიზმის მძლავრი და უძლეველი მოძღვრებით შეიარაღების დარგში უდიდეს როლს ასრულებს მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად ცოდნათა ნამდვილი ენციკლოპედია—ამხანაგ სტალინის გენიალური ნაშრომი „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“.

პ. ᲘᲣᲓᲘᲜᲘ

„პრავდა“. 17/IX, 1948 წ.

მზადება საშემოდგომო თესვისათვის

ᲠᲐ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲪᲓᲔᲜᲐᲡ?

შინდისის მტს-ში ამხ. მაზმიშვილის სატრაქტორო ბრიგადამ მთელი აგვისტო თითქმის უქმად გაატარა. ორ ტრაქტორს სრულებით არ უმუშავნია საშემოდგომო ხვნაზე, № 10 ტრაქტორი კი მხოლოდ სამი დღეს მუშაობდა. სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო საშემოდგომო ხვნაზე არ გასულა ამ მტს-ის მეორე, მეხამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე სატრაქტორო ბრიგადების ზოგიერთი ტრაქტორი. ამ სამარცხვინო მდგომარეობიდან მტს-ის დირექციას (დირექტორი ამხ. ა. ნადირაძე) საჭირო დასკვნები არ გაუკეთებია. ტრაქტორების მოცდენა სექტემბერშიც გრძელდება. ნაწილების უქონლობით უქმად დგას 6 ტრაქტორი, ხოლო ზეთის მოუმარაგებლობის გამო 15 ტრაქტორის მუშაობა სამ დღეს შეჩერდა.

სატრაქტორო პარკის მუშაობა მოუწესრიგებელია გორის მტს-შიც (დირექტორი ამხ. ნათიშვილი). აქ ტექნიკური მიზეზების გამო დიდხანს მოცდა ხვნაზე მომუშავე 4 ტრაქტორი. ტექნიკური მოუვლელობის შედეგად აგვისტოს თვითეულ დეკადაში ხვნაზე მომუშავე 28 ტრაქტორის მოცდენამ 20 ტრაქტორ-დღე შეადგინა. ცალკეულ სატრაქტორო ბრიგადებში ეს ახლაც გრძელდება. აღსანიშნავია, რომ 12 ტრაქტორი დაკომპლექტებული არ არის ტრაქტორისტებით.

საშემოდგომო ხვნაზე მომუშავე ტრაქტორები მთელი კვირაობით მომცდარი არიან ახალსოფლის მტს-ში (დირექტორი ამხ. საამიშვილი). აქ ხუთი ტრაქტორი 4 დღეს მოაცდინა საცხები მასალის მოუმარაგებლობამ. მთელ 21 დღეს შეწყვიტა მუშაობა „ხტზ“ მარკის ტრაქტორმა მეოთხე სატრაქტორო ბრიგადაში, მაგრამ გულშემატკივარი არავინ გამოჩნდა. უფრო მეტიც, ორ თვეზე მეტია, რაც ამხ. ყულუმბეგაშვილის სატრაქტორო ბრიგადაში მომცდარია „ჩტზ“ მარკის ერთი ტრაქტორი. მტს-ის დირექციას გადამჭრელი ზომები არ მიუღია ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

უყურადღებობისა და უკონტროლობის შედეგად მთელი რიგი ტრაქტორისტები ვერ ასრულებენ მიცემულ დავალებებს. ტრაქტორისტ ე. მიტიჩაშვილს საანეულო ხვნის გეგმა 30 პროცენტით აქვს შესრულებული, საშემოდგომო ხვნისა კი 25 პროცენტით. ვეგმიან დავალებებს ასევე ვერ ასრულებს ტრაქტორისტი გ. თოდაძე.

ახალსოფლის მტს-ში არ იცავენ საშემოდგომო ხვნის ხარისხს. პირველმა სატრაქტორო ბრიგადამ, რომლის ბრიგადირია ამხ. დ. ურიგაშვილი, სოფელ ახალდაბის კოლმეურნეობა „წითელი სხივის“ ფართობებში ხვნა ჩაატარა 14-15 სანტიმეტრის სიღრმეზე და მრავალი ხარვეზით. ამხ. აკოფაშვილის სატრაქტორო ბრიგადამ სოფელ კირბალის კოლმეურნეობა „ჯეჯილში“ მუშაობის დროს მოუხნავი ადგილები დასტოვა.

სექტემბრის მეორე დეკადის ლამდეგს საშემოდგომო ხვნა დაწყებული არ იყო რაიონის 18 კოლმეურნეობაში, სადაც მოსახნავია 619 ჰექტარი. ხვნაში ძალიან ჩამორჩნენ სოფელ ქვემო არცევის კოლმეურნეობა „ვარდიანი“, ქორდის კოლმეურნეობა „პატარა ლიახვი“, მერეთის კოლმეურნეობა „წითელი მერეთი“ და სხვ.

რაიონის ზოგ კოლმეურნეობაში ჭიანურდება სათესლე მასალის კონდიციამდე აყვანა. თესლის კონტროლის ლაბორატორიას ნიმუშები წარედგინა 20.378 ცენტნერზე, რომელთაგან სარეველა აღმოაჩნდა 11.342 ცენტნერ თესლს.

გორის რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა ჯეროვანი წესრიგი უნდა დაამყარონ სატრაქტორო პარკის მუშაობაში, გადაჭრით გააძლიერონ საშემოდგომო თესვისათვის მზადების ტემპი და ყველა კოლმეურნეობა უზრუნველჰყონ კონდიციური სათესლე მასალით.

ს. ᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

პარტიული ცხოვრება

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘ ᲘᲮᲘᲚᲐᲕᲔᲜ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲡ

ამ დღეებში შესდგა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ღია პარტიული კრება. ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის სესიის შედეგებისა და სამედიცინო ინსტიტუტის ამოცანების შესახებ კრებაზე მოხსენებით გამოვიდა ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ამხ. კ. ერისთავი.

— ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის სესია, — სთქვა მომხსენებელმა, — დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. სესიის გადაწყვეტილებებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ბიოლოგიურ, ისე სამედიცინო მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისათვის.

აკადემიკოს ლისენკოს მოხსენება „მდგომარეობა ბიოლოგიურ მეცნიერებაში“ აშკარავებს ვეისმანიზმის სრულ უნიადაგობას, ანტიმეცნიერულობას და რეაქციულობას, ურყევი ფაქტებით ნათელჰყოფს, რომ მორგანისტ-მენდელისტებს არ შეუძლიათ სწორად გაიგონ და ახსნან ბუნების ცვლილებისა და განვითარების კანონები. აკადემიკოსმა ლისენკომ ვეისმან-მორგან-მენდელის სქოლასტიკურ-რეაქციულ თეორიას დაუპირისპირა მიჩურინის პროგრესულ-მატერიალისტური მოძღვრება, აგებული დარვინიზმის პრინციპებზე.

საბჭოთა მეცნიერების მოვალეობას შეადგენს დაუნდობელი ბრძოლა ვეისმანიზმ-მენდელიზმ-მორგანიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. საბჭოთა მეცნიერებაში არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს იდეალისტურ-მეტაფიზიკურ, ცრუმეცნიერულ შეხედულებას და ბურჟუაზიული მეცნიერების წინაშე ქედის მოხრას.

— თვითკრიტიკის წესით უნდა ითქვას, — განაგრძობს მომხსენებელი,— რომ შემოქმედებითი დარვინიზმის, საბჭოთა დარვინიზმის სწავლება ჩვენი ინსტიტუტის კათედრებზე შესაფერ სიმაღლეზე არ იდგა. ბიოლოგიური კათედრა (გამგე პროფესორი როსტომბეგოვი) დღემდე სარგებლობდა ბლიახერის სახელმძღვანელოთი, რომელშიც ვეისმან-მორგან-მენდელის შეხედულებებია გატარებული. კათედრა ვალდებულია არსებითად გარდაჰქმნას მუშაობა, გააძლიეროს საბჭოთა შემოქმედებითი დარვინიზმის პროპაგანდა და ვეისმან-მენდელ-მორგანის რეაქციული იდეალისტური თეორიის კრიტიკა.

მიკრობიოლოგიის კათედრის მოვალეობაა აღზარდოს ახალგაზრდობა შემოქმედებითი დარვინიზმის პრინციპებზე. მაგრამ ჩვენი ზოგიერთი მეცნიერი მუშაკი თვითონ არ იცნობს იმ დიდ მიღწევებს, რომლებიც ბაქტერიოლოგიამ ამ უკანასკნელ წლებში მოიპოვა, ამაში ბრალი მიუძღვის კათედრის გამგეს პროფესორ ვლ. ანთაძეს.

პროფესორ ვლ. ჟღენტის პათოლოგიური ანატომიის სახელმძღვანელოს ზოგადი ნაწილის პირველი გამოცემის შეცდომები თავის დროზე იქნა გაკრიტიკებული, მაგრამ ახალი გამოცემაც, რომელიც ავტორმა შეასწორა, არ არის უნაკლო. კერძოდ, დაზუსტება სჭირდება პიგმენტებისა და ეგრეთწოდებული იდიოპათიური სიყვითლის წარმოშობის საკითხს.

შეცდომებია აგრეთვე პროფესორ ა. ნათიშვილის ნორმალური ანატომიის სახელმძღვანელოში. მასში გატარებულია რეაქციულ-ვეისმანისტური აზრი, თითქოს ორგანიზმი შესდგება შთამომავლობითი პლაზმისა და მისი ფუტლარის—მკვებავი სომისაგან, რომელნიც თითქოს დამოუკიდებლად მოქმედებენ. ეს, ცხადია, ასე არ არის. ორგანიზმი მთლიანია და მისი შემადგენელი ნაწილები, პლაზმა იქნება ეს თუ სომა, უშუალოდ მოქმედებენ ერთმანეთზე და როგორც ორგანიზმის არსებობაში, ისე შთამომავლობითი ნიშნების გადაცემაში უშუალო კავშირი აქვთ ერთმანეთთან. პროფესორმა ა. ნათიშვილმა საფუძვლიანად უნდა გადაამუშაოს ნორმალური ანატომიის სახელმძღვანელო. მასში ფართოდ უნდა იყოს მოცემული ვეისმან-მორგან-მენდელის კონცეფციის კრიტიკა.

ინსტიტუტის მუშაკთა შორის ჯერ კიდევ ფართოდ გაშლილი არ არის კრიტიკა და თვითკრიტიკა. ისინი სახელმძღვანელოთა განხილვას მთელი პასუხისმგებლობით არ უდგებიან და გვერდს უვლიან რეაქციონერ ბიოლოგთა შეხედულებების კრიტიკას (დოცენტი ვ. ჯიქია).

საჭიროა დაუყოვნებლივ და გულდასმით გადაისინჯოს ყველა სახელმძღვანელო. უვარგისი სახელმძღვანელოები, რომლებიც დანაგვიანებულია ვეისმან-მენდელ-მორგანის შეხედულებებით, ამოღებულ უნდა იქნას ხმარებიდან, ხოლო ის სახელმძღვანელოები, რომლებიც ახლა იბეჭდება, შესწორდეს.

მოხსენების გამო გამართულ კამათში სიტყვით გამოსულმა პროფესორმა ვლ. ანთაძემ აღნიშნა, რომ სამედიცინო მიკრობიოლოგიის მოქმედი პროგრამა და სახელმძღვანელოები ფორმალური გენეტიკის მძლავრ გავლენას განიცდიან. მათში გაკვრითაც არაფერია ნათქვამი მიჩურინ-ლისენკოს დიალექტიკურ-მატერიალისტურ ბიოლოგიურ კონცეფციაზე. ასეთივე ნაკლი ახასიათებს მიური რიტჩის სახელმძღვანელოს. პროფესორმა ანთაძემ აღნიშნა, რომ მიკრობიოლოგიის კათედრა მიიღებს ყოველგვარ ზომებს, რათა საბჭოთა მეცნიერების მიერ დაგროვილი მასალა კრიტიკულად გაშუქდეს მიჩურინელთა მატერიალისტურ-დიალექტიკური კონცეფციის თვალსაზრისით.

ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ამხ. ვ. ჯიქია აღნიშნავს, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში არ სწარმოებდა მიჩურინული მოძღვრების ფართო პროპაგანდა. ის შეეხო პროფესორ ა. ნათიშვილის ნაშრომს და სთქვა, რომ მასში ზოგიერთი შეხედულება იდეალისტურ-ვეისმანისტურია. აქვე უნდა ითქვას, რომ ამხ. ჯიქიამ დაიცვა პროფესორ ნათიშვილის და პროფესორ ვლ. ჟღენტის ზოგიერთი შეცდომები. მისი გამოსვლა საერთოდ არ იყო ობიექტური და ვერ დააკმაყოფილა კრების მონაწილენი.

პროფესორ ვლ. ჟღენტის გამოსვლა თვითკრიტიკული იყო. ჩემი წიგნი, — სთქვა მან, — ზოგადი პათოლოგიური ანატომიის სახელმძღვანელო, მემკვიდრეობის საკითხს სწორად ვერ ხსნის. წიგნი 20-25 წლის წინათ არის გამოცემული. მე უკვე შევუდექი სახელმძღვანელოს მთელი მასალის მატერიალისტურად გაშუქებას და მასში ვძლევი ანტიმეცნიერული ვიტალისტური შეხედულებების კრიტიკას. ჩემს შემდგომ მუშაობაში ფართოდ გავშლი ვეისმან-მენდელ-მორგანის ყალბი კონცეფციის კრიტიკას და ღრმად გავაშუქებ ჩვენი მშობლიური საბჭოთა მეცნიერების მიღწევებს.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ა. ბაკურაძემ განაცხადა, რომ მეცნიერთა ერთი ნაწილი საბჭოთა მეცნიერების შრომებს ვერ აფასებს. შემდეგ ა. ბაკურაძე აღნიშნავს, რომ პროგრამებში ძალიან მცირე ადგილი უჭირავს ევოლუციური ფიზიოლოგიის საკითხებს.

— სამედიცინო ინსტიტუტის მთელი რიგი სასწავლო დისციპლინების (ბიოლოგია, ჰისტოლოგია, მიკრობიოლოგია, ნევროპათოლოგია და სხვ.) პროგრამებში, — სთქვა დოცენტმა მ. საკაშვილმა, — არ არის ვეისმან-მენდელ-მორგანის მოძღვრების კრიტიკა. პროგრამებში გათვალისწინებული არ არის მიჩურინული მოძღვრების გაშუქება და სწავლება. ჩვენი დიდი ნაკლია, რომ სამედიცინო ინსტიტუტის მუშაკები ნაკლებად ვაწარმოებთ საქართველოსა და მომმე რესპუბლიკების ხალხთა მეცნიერული მიღწევების პოპულარიზაციას, ცოტას ვწერთ საბჭოთა კავშირის ხალხთა მეცნიერების მთელი რიგი უდიდესი მნიშვნელობის მეცნიერულ აღმოჩენებზე. ასე, მაგალითად, პროფესორმა ანფიმოვმა ჩამოაყალიბა უდიდესი მნიშვნელობის მოძღვრება ფსიქიატრიაში, რომელიც მედიცინის ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა კრეპელინს მიაწერეს. დიდმა ქართველმა მეცნიერმა ივ. თარხნიშვილმა შემოიღო ფიზიოლოგიური ხსნარი, რომელიც დღეს მედიცინაში უდიდეს როლს ასრულებს, ხოლო ეს დიდი დამსახურება სრულიად უმართებულოდ უცხოელ მეცნიერთათვის იყო მიკუთვნებული. ყვავილის აცრის იდეა ინგლისმა საქართველოდან წაიღო და შემდეგ ეს უდიდესი აღმოჩენა ინგლისის მიღწევად იქნა აღიარებული.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე პროფესორი როსტომბეგოვი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ს. საყვარელიძე, დოცენტი გ. ცქიმანაური და სამედიცინო ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანი ვ. იმედაშვილი.

ამხ. კ. ერისთავის საბოლოო სიტყვის შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლუცია.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Კ. Პ. (Ბ) ᲐᲮᲛᲔᲢᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ახმეტის რაიკომის მე-5 პლენუმი. პლენუმმა მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ ზ. გელდიაშვილის მოხსენება რაიკომის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: შ. შაოშვილმა, ლ. პაჩოშვილმა, ს. წიქარიშვილმა, გ. ტერტერაშვილმა, პ. მირიანაშვილმა და სხვებმა — სულ 9 კაცმა. შემდგომი მუშაობისათვის პლენუმმა დასახა სათანადო ღონისძიებანი.

პლენუმმა ამხ. ზ. გელდიაშვილი სასწავლებელში წასვლის გამო გაათავისუფლა რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან.

რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. დ. მირიანაშვილი და შეიყვანა იგი ბიუროს შემადგენლობაში.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილემ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების დარგში ამხ. ა. გიგოშვილმა.

ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის რაიონის ფიზკულტურელთა მიმართვას ერთსულოვნად გამოეხმაურა რესპუბლიკის მთელი სასპორტო საზოგადოებრიობა. ყველგან, ფაბრიკა-ქარხნებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და სასწავლებლებში ფიზკულტურის კოლექტივები დიდი ინტერესით იხილავენ ქუთაისელთა მიმართვას და კისრულობენ ახალ ვალდებულებებს.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2.600-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა ქუთაისელების მიმართვისა და თავიანთ საპასუხო ვალდებულებათა განხილვაში. ნაკისრი ვალდებულებანი ითვალისწინებენ, რომ 1948/49 სასწავლო წელს სასპორტო სექციათა სისტემატურ მეცადინეობაში ჩაბმულ იქნას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სულ ცოტა 25 პროცენტი, მომზადდეს 100 ფიზორგი, 60 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და მსაჯი, 670 მეთ ნიშნოსანი, 120 თანრიგოსანი სპორტსმენი და 6 სპორტის ოსტატი. ფიზკულტურელმა სტუდენტებმა ვალდებულება იკისრეს მიმდინარე წლის განმავლობაში საკუთარი ძალებითააგონ და მოაწყონ 12 სასპორტო ბაზა, მათ შორის ზამთრის საწვრთნელი სამძლეოსნო დარბაზი, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები.

უნივერსიტეტის სტუდენტებმა მოუწოდეს საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა ყველა ფიზკულტურულ კოლექტივს მიჰბაძონ მათს მაგალითს.

ამ მოწოდებას დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სასოფლო-სამეურნეო და ზოოვეტერინარული ინსტიტუტების ფიზკულტურელები და სხვ.

სერიოზული ვალდებულებანი იკისრეს თბილისის ერთ-ერთი უძველესი საწარმოს — სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ფიზკულტურელებმა. ქუთაისელთა მიმართვისადმი მიძღვნილმა ფიზკულტურელთა საერთო კრებამ გადაწყვეტილება მიიღო — წელს არსებულ სექციებს გარდა, მოაწყონ სამი სახის სპორტის—ქართული ჭიდაობის, ცურვისა და ქალაქობანას სექციები, მოამზადონ 85 მეთ ნიშნოსანი, 29 თანრიგოსანი სპორტსმენი, 15 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი, აგრეთვე საკუთარი ძალებით ააგონ ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები პლეხანოვის სახელობის რკინიგზელთა კლუბის ტერიტორიაზე და ქარხნის საერთო საცხოვრებელთან.

ფიზკულტურული მოძრაობის ახალი აღმავლობისათვის შეჯიბრებაში ჩაებნენ თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის, ავტოსარემონტო ქარხნის, მაუდის, ტრიკოტაჟისა და მე-7 სამკერვალო ფაბრიკების ფიზკულტურელები, ტრამვაელები, № 1, № 6, № 12 სახელოსნო სასწავლებელთა ფიზკულტურელი მოსწავლეები, რესპუბლიკის ათობით საშუალო სასწავლებელი.

ქუთაისელთა მიმართვის განხილვის დროს საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციები აჯამებენ 1948 წლის პირველ ნახევარში მათ მიერ გაწეული მუშაობის შედეგებს. ქალაქ სოხუმის ფიზკულტურული ორგანიზაციების აქტივის საქალაქო კრებაზე, რომელიც ქუთაისელთა მიმართვას მიეძღვნა, გამომჟღავნებულ იქნა მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებანი, რომლებიც სერიოზულად აფერხებენ აფხაზეთის ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომ განვითარებას. კრების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სპორტი აქ ჯერ კიდევ მასობრივი არ არის. ქალაქის მეტწილ სასპორტო საზოგადოებათა ხელმძღვანელები ფორმალურად ეკიდებიან მეთ ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების საქმეს. კრებაზე გააკრიტიკეს ფიზიკური კულტურის საქალაქო კომიტეტის მუშაობა სასპორტო ღონისძიებათა მოწყობისა და განხორციელების დარგში. საქალაქო კომიტეტის ანგარიშით ირიცხება ფიზიკური კულტურის 38 კოლექტივი, ფაქტიურად სულ 10-15 კოლექტივი მუშაობს. დანარჩენი უმოქმედოა. ქალაქ სოხუმის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში მეტად სუსტად არის დაყენებული სასწავლო-სასპორტო მუშაობა. ამის გამო სპორტსმენთა სასპორტო-ტექნიკური მიღწევები ისეთ სახის სპორტშიც კი, როგორიცაა ცურვა, წყალში ხტომა, მძლეოსნობა კვლავ მეტად დაბალ დონეზეა. ქალაქის ფიზკულტურული ორგანიზაციები სრულებით არ მუშაობდნენ სასპორტო ნაგებობათა შექმნის საკითხებზე. ამჟამად ქალაქ სოხუმში არ მოიპოვება არც ერთი სასპორტო დარბაზი, არ არის სასპორტო-სათამაშო მოედნები. ქალაქის ერთადერთი სტადიონი „დინამო“ უყურადღებოდაა მიტოვებული. აქტივმა ყოველივე ეს გაითვალისწინა ქუთაისელთა მიმართვის პასუხად მიღებულ თავის ვალდებულებათა შემუშავების დროს.

ქალაქ სოხუმის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ვალდებულება იკისრეს 1948 წლის დამლევამდე ფიზკულტურასა და სპორტში ჩააბან ქალაქის მშრომელთა სულ ცოტა 10 პროცენტი, მოამზადონ 55 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი, 1947 წელთან შედარებით 30 პროცენტით გაადიდონ შინაკოლექტიურ და შინასაუწყებო შეჯიბრებათა რაოდენობა, მოამზადონ 360 თანრიგოსანი სპორტსმენი, 1.480 მეთ ნიშნოსანი და განაახლონ აფხაზეთის ასსრ რეკორდების ცხრილი: შტანგაში —20 პროცენტით, მძლეოსნობასა და ცურვაში — 60 პროცენტით. სოხუმის ფიზკულტურელებმა იკისრეს 1948 წლის დამლევამდე საკუთარი ძალებით მოაწყონ ფეხბურთის მოედანი, ფრენბურთის 12 და კალათბურთის 10 მოედანი, 9 სატანვარჯიშო „ქალაქი“, 5 დაბრკოლებათა ზოლი და ერთი საძალოსნო დარბაზი.

სოხუმელთა სიტყვა და საქმე ერთია. აქტივის კრების მეორე დღესვე 500-ზე მეტი მოსწავლე და მუშა-მოსამსახურე გამოვიდა პირველ შაბათობაზე.

საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციები დაადგნენ მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესების გზას.

Ი. ᲕᲐᲡᲐᲫᲔ

ჩვენ გვწერენ

ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲓᲐᲕᲜᲔᲠᲒᲝᲗ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲭᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘ

მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მიერ 1948 წლის ზაფხულში წარმოებულმა ცდებმა და საქართველოს მეაბრეშუმეობის ზოგიერთ რაიონში ჩატარებული გამოკვებით მიღებულმა შედეგებმა ცხადჰყო, რომ პარაფინირებული ქაღალდის ქვეშ აბრეშუმის ჭიის გამოკვება უკეთეს შედეგებს იძლევა, ვიდრე ჩვეულებრივ პირობებში გამოკვება. ჭიის ამ წესით გამოკვების უპირატესობანი შემდეგია: მოკლდება ჭიის გამოკვების პერიოდი, თუთის ფოთოლი დიდხანს ინარჩუნებს სიახლეს, ე. ი. ნაკლებად ჭკნება, ჭია უფრო მადიანად სჭამს ასეთ ფოთოლს და ინტენსიურად ითვისებს მას.

პარაფინირებული ქაღალდის ქვეშ ჭიის გამოკვება ზაფხულ-შემოდგომაზე მეტ ეფექტს იძლევა, ვიდრე გაზაფხულზე. ზაფხულში და შემოდგომაზე ფოთლის კვებითი ღირებულება ეცემა, მისი ქიმიური შემადგენლობა დაბალია, რადგანაც ზაფხულში თუთის ფოთოლში ნაცროვანი ელემენტების გაზრდით ან მშრალი ნივთიერების ხარჯზე წყლის შემადგენლობა მცირდება. ამით ფოთოლი უხეში და ძნელად მოსანელებელი ხდება ჭიის ორგანიზმისათვის. სამრეწველო გამოკვების პირობებში პარაფინირებული ქაღალდის გამოყენება მიღებულია მხოლოდ სამ ასაკში. მეოთხე, და მეხუთე ასაკებში კი პარაფინის გამოყენება ტექნიკურად რთულია და ჭია იკვებება ჩვეულებრივ პირობებში.

პარაფინირებული ქაღალდის ქვეშ სამ ასაკში გამოკვებილმა ჭიამ ზრდა-განვითარებაში გაუსწრო საკონტროლოდ აღებულ ჩვეულებრივ პირობებში გამოკვებილ ჭიას 4½ დღით, ხოლო მთელი გამოკვების პერიოდში, ე. ი. პარკის ახვევამდე, 8 დღით.

წინასწარ დამზადებული პარაფინირებული ქაღალდისაგან კეთდება მცირე ასაკებისათვის მიღებული ჭიის გამოსაკვები კოლოფები, რომელიც ეხურება ერთიმეორეს, ხოლო იხდება საკვების მიცემის მომენტში.

საჭიროა აბრეშუმის ჭიის გამოკვების ეს სასარგებლო წესი ფართოდ გავავრცელოთ მეაბრეშუმეთა შორის.

Ლ. ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲐᲠᲢᲔᲚᲘᲡ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲐᲡ ᲐᲛᲐᲮᲘᲜᲯᲔᲑᲔᲜ“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 26 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიც აღნიშნული იყო არტელის წესდების დარღვევის ფაქტები სოფელ თამარაშენის კოლმეურნეობა „წითელ დროშაში“.

საქართველოს კ. პ. (ბ) ქარელის რაიკომის მდივანი ამხ. ი. რთველიაშვილი გვატყობინებს, რომ კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. რაიკომის ბიურომ დასახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ახლა კოლმეურნეობაში ლიკვიდირებულია დებიტორული დავალიანება. უკანონოდ გაცემული ქონება დაუბრუნდა კოლმეურნეობას.

განცხადება საბჭოთა წარმომადგენლისა შორეული აღმოსავლეთის კომისიაში

ვაშინგტონი, 18 სექტემბერი. (საკდესი). 16 სექტემბერს შესდგა შორეული აღმოსავლეთის კომისიის მორიგი სხდომა. საბჭოთა წარმომადგენელმა ამხ. პანიუშკინმა შორეული აღმოსავლეთის კომისიის განსახილველად შეიტანა გენერალ მაკარტურის მიერ პოტსდამის დეკლარაციისა და იაპონიის დემოკრატიზაციის შესახებ შორეული აღმოსავლეთის კომისიის გადაწყვეტილებათა დარღვევის საკითხი. თავის განცხადებაში ამხ. პანიუშკინმა აღნიშნა:

„1948 წლის 22 ივლისს იაპონიაში საოკუპაციო ჯარების მთავარსარდალმა გენერალმა მაკარტურმა იაპონიისათვის შექმნილ სამოკავშირეო საბჭოსთან კონსულტაციის გაუწევლად პრემიერ-მინისტრ ასიდას გაუგზავნა წერილი, რომელიც შეიცავდა მოთხოვნას, რომ სრულიად შეეცვალათ დაუყოვნებლივ „სახელმწიფო და საზოგადოებრივი სამსახურის კანონი“, რომელიც იაპონიის პარლამენტის სესიამ მიიღო 1947 წლის 16 ოქტომბერს.

ამ წერილის შესაბამისად იაპონიის მთავრობამ 1948 წლის 31 ივლისს გამოსცა სპეცია-...

...რეული აღმოსავლეთის კომისიის გადაწყვეტილება „იაპონიის პროფესიულ კავშირთა პრინციპების“ შესახებ არ ვრცელდება სახელმწიფო საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებზე და ამიტომ სახელმწიფო საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებისათვის კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებისა და გაფიცვების მოწყობის აკრძალვა თითქოს არ ეწინააღმდეგება შორეული აღმოსავლეთის კომისიის პოლიტიკას.

სამოკავშირეო საბჭოს თავმჯდომარის ეს განმარტება უეჭველად მცდარია.

პოტსდამის 1945 წლის 26 ივლისის დეკლარაციის მე-10 პუნქტში ნათქვამია: „...იაპონიის მთავრობამ უნდა აღმოფხვრას ყველა დაბრკოლება იაპონელ ხალხში დემოკრატიული ტენდენციების აღორძინებისა და განმტკიცების გზაზე. დაწესდება სიტყვის, რელიგიისა და აზროვნების თავისუფლება, აგრეთვე ადამიანის ძირითადი უფლებების პატივისცემა“.

შორეული აღმოსავლეთის კომისიის პოლიტიკური გადაწყვეტილების — „ძირითადი პოლი-...

გაზეთი „უნიტა“ ტოლიატის მომავალი გამოსვლის შესახებ

რომი, 19 სექტემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „უნიტა“ იუწყება, პალმირო ტოლიატი რომს დაბრუნდა ნოვარის პროვინციიდან, სადაც გამოჯანსაღებისა და დასვენების პერიოდი გაატარა. ტოლიატი მონაწილეობას მიიღებს იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში 22-24 სექტემბერს.

26 სექტემბერს, თავდასხმის შემდეგ პირველად, ტოლიატი გამოვა რომის და იტალიის სხვა ცენტრების მშრომელთა წინაშე გაზეთ „უნიტას“ ეროვნულ დღესასწაულზე, რაც ეწყობა დედაქალაქის უდიდეს სტადიონზე „კომუნისტური ბეჭდვითი სიტყვის“ ერთთვიურის დამთავრების გამო. დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებენ კომპარტიის ყველა ორგანიზაციის დელეგატები, რომლებიც სპეციალურად ჩამოდიან იტალიის ყველა პროვინციიდან.

განაჩენი ჯაშუშთა საქმეზე ბულგარეთში

მდგომარეობა სამხრეთ კორეაში

მდგომარეობა პალესტინაში

მდგომარეობა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში

ბერლინი, 17 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთმა „ბერლინერ ცაიტუნგმა“ გამოაქვეყნა თავისი კორესპონდენტის ცნობა, რომ დიუსელდორფში ამას წინათ დამთავრდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დიუსელდორფის ყრილობის დამთავრების შემდეგ, სწერს გაზეთი, მის მონაწილეთა წრეებში განაცხადეს, რომ კრიზისი გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობაში, რაც დიდი ხანია გრძელდება, პარტიის თავმჯდომარის პოსტზე შუმახერის ხელახალი არჩევის შედეგად ოდნავაც არ მოგვარებულა. მხოლოდ დიუსელდორფში უნარიანი რეჟისურის მეოხებით მოხერხდა პარტიაში ხელმძღვანელობისათვის მებრძოლ სხვადასხვა დაჯგუფებათა დაფის შენიღბვა.

როგორც გაზეთი აღნიშნავს, ყრილობამ ცხადჰყო, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია მისი ახლანდელი ხელმძღვანელობით ისეთი პარტია გახდა, რომელიც მხოლოდ შეძლებული კლასების ინტერესთა წარმომადგენელია. ამ...

...ძეს. პირველი ჯგუფი წარმოადგენს ერიხ ოლენჰაუერისა და ფრიც ჰაინეს გარშემო შემოკრებილ წრეს. ამ ჯგუფის პოლიტიკა იქითკენ არის მიმართული, რომ განხორციელდეს ინგლისის ლეიბორისტული პარტიის გეგმები გერმანიის შესახებ.

მეორე ჯგუფს მეთაურობს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი სამხრეთ ვიურტემბერგში კარლ შმიდი. იგი ისწრაფვის საფრანგეთის ნიმუშის მიხედვით შექმნას ეგრეთწოდებული „მესამე ძალა“ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის არამარქსისტული ფრთისა და ქრისტიანული პროფკავშირების წრეებისაგან. ამასთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ აგვისტოს დამლევს ტიუბინგენში სწარმოებდა მოლაპარაკება ახალი პარტიის შექმნის შესახებ, რომელიც უნდა დაარსდეს ოქტომბრის დამლევს კობლენცში „გერმანიის კავშირის“ სახელწოდებით.

სწორედ ასევე შეერთებული შტატებიდან დაბრუნებულმა ემიგრანტებმაც გააძლიერეს ცდები—ხელთ იგდონ ხელმძღვანელობა გერმა-...

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის საიუბილეო პლენუმი, მიძღვნილი ალექსანდრე ყაზბეგის დაბადების ასი წლისთავისადმი

29 სექტემბერს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიხსნება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი, მიძღვნილი დიდი ქართველი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის დაბადების ასი წლისთავისადმი.

გამგეობის პლენუმზე შესავალ სიტყვას წარმოსთქვამს ამხ. ს. ჩიქოვანი. მოსმენილი იქნება შემდეგი მოხსენებანი: „ალ. ყაზბეგი და თანამედროვეობა“ — მომხსენებელი გ. ჯიბლაძე; „ალ. ყაზბეგი და ქართული პროზის ტრადიციები“ — მომხსენებელი პ. ინგოროყვა; „ქართველი ხალხის ისტორიული წარსული ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში“ — ...

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს რეზოლუცია

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის გამგეობის პლენუმი

ბერლინის დასავლეთ სექტორებში გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას სდევნიან

ბერლინის მშრომელები პროტესტს აცხადებენ ბერლინის დასავლეთი სექტორების პრესაში წარმოებული სამხედრო პროპაგანდის წინააღმდეგ

...ლექტივების ხელმძღვანელთათვის შესდგება ამხ. პავჩინსკის ლექცია თემაზე: **„მიმდინარე მომენტი და საერთაშორისო მდგომარეობა“.**

21 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, შესდგება ამხ. კალაძის კონსულტაცია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების საკითხებზე.

1948 წლის 22 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 5) მოწვეულია საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მეექვსე პლენუმი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

ა. წ. 8 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე, მასწავლებლის სახლის შენობაში (ფურცელაძის ქ. № 3), **ჩატარდება საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში შეტანილი მოგებიანი ანაბრების მე-12 ტირაჟი.**

ტირაჟში მონაწილეობას მიიღებს მეანაბ-...

იაპონიის პოლიცია თავს დაესხა კომპარტიის შენობას ხაკოდატეში

ტოკიო, 18 სექტემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „აკაჰატა“ იუწყება, 13 სექტემბერს პოლიცია თავს დაესხა კომუნისტური პარტიის ხაკოდატეს რაიონული კომიტეტის შენობას. პოლიციამ დააპატიმრა კომპარტიის კომიტეტის წევრი ხიროსი იაბუსტა.

...დედა ვერა, მამა ვლადიმერ, და ზინა, ძმები გიორგი, ივანე უფუნიები იუწყებიან **შვილი ვლადიმერის-ძე უფუნიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 22-IX, 7 ს. გამოსვენება 23-IX, 5 ს. შიო არაგვისპირელის, 39.

რედაქციის მისამართი თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3 06-88, განყოფილებები: პარტ. პროპაგანდის — 3-82-65, პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3 81-84, სასოფლო სამეურნეო და სამრეწველო ტრანსპორტისა — 3 80-53, კულტურის, ცოდნებისა და ინფორმაციის — 3 80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3 78-24, მიღებისა და განცხადების — 3 81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორისა — 3 77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის № 28. ტირაჟი 110.000 უე 09772